ეროვნული სურათებიანი დამატება

დამატების № 10. ქვ. 7 მაისი, 1906 წ. გაზეთის № 28.

*
* *

ბრძოლის ველი წინ გვიშლია,
სქელ ჰაერში ტყვია სცურავს,
სიცოცხლეს ჭკლავს და სირცხვილით
უსულო გვამს კვამლით ჰბურავს.

კვნესის აგერ მომაკვდავი,
სამუდამოდ ხუჭავს ის თვალს;
იქ სხვა გმინავს... ეს სურათი
მუდამ თან სდევს ბრძოლის გრიგალს.

აღარა კრთის თითქოს გული,
მტრის მუქარა ზიზღს-ღა მმატებს:
მიჩვეული ჭირ-ვარამი
კაცის გრძნობას აფოლადებს.

მეც ამიტომ აღარ მივდევ
დახოცილთა მოთქმა-გლოვას,
გულში ვიკლავ ჯოჯოხეთურს,
შემოსეულს დარდის გროვას.

ცხოვრებაში გმირთ ხსოვნა-კი
აწ მექნება თვალ-წინ ძეგლად,
საამქვეყნო საამაყოდ
და მტრის შურის საძიებლად!...

სოდ. გ—ძე.

მაკედონელ სტეფან პარაოგეოგზ სიკვდილებიდან

ოხ, რისთვის მორბის ბრბო აქეთკენა
გამხეცებული, აზვირთებული,
ტუსაღი მოჰყავთ ჯარისკაცებსა,
საღრჩობელაა იქ ამართული!

—

აგერ მზის სხივმა დაჰკრა მიწასა
და გაიფანტა ნისლი, ღრუბელი,
ხალხი ტუსაღებს უთვლის კრულვასა,
გრგვინავს ბობოქრობს წამების ველი!

—

მერე ვინ მიჰყავს ჯალათს თოკისკენ?
გმირი, ხალხისთვის თავდადებული!
თვისი ძალღონე მან ძმას შესწირა
მხოლოდ იმისთვის უცემდა გული!

—

ოხ, მეგობრებო, შვილნო ხალხისა,
თქვენა სტიროდით იმის ცრემლებზე,
აჰათ გვირგვინი თქვენის ტანჯვისა
ფურთხით მიჰყევხართ სახრჩობელაზე!

ი. ეგდოშვილი

ეროვნული ბიბლიოთ.

სახელმწიფო საბჭოს წევრის **ილია ჭავჭავაძის** გაცილება ტფილისის რკინის გზის სადგურზე, 2 მაისს.

სახელმწიფო სათათბიროს სახლი







მარსელელნი.

(საფრანგეთის რევოლუციის დროის მოთხრობა.)

ფელიქს გრასი.

I

ღარიბნი

ერთს საღამოს ჩვეულებრივ ყველანი ჩვენს ადგილას ვისხედით. მე ჩემის კატით კუთხეში ვიჯექი და ვფიქრობდი: ნეტავ სთხოვოს ვინმემ მოხუც პასკალს, ახალი რამე გვიამბოს, რადგან წინა დღეს ვატერლოოს ბრძოლის ამბავი დაასრულა.

— იცით რა, პასკალ,—მოულოდნელად სთქვა მატერონმა. კარგა ხანია მინდა გკითხოთ, როგორ მოხდა, რომ თქვენ მალმორის მცხოვრები, მოჰყევით მარსელელთა ბატალიონში, რომელიც პირველ რევოლიუციის დროს პარიზში წავიდა საბრძოლველად.

— სიღატაკის წყალობით,—მიუგო პასკალმა თავის მაღალისა და სასიამოვნო ხმით.

— ყველამ ყურები ვსაქვიტეთ.

— ეხლა რა აქვს საჩივლელი ხალხს!—განაგრძო პასკალმა. მომეტებული ქონება თუ? ეხლა ყოველ სოფელს თავისი ნაჭერი მიწა აქვს, რომელიც ლუკმა პურს აძლევს. მე კი, მაგალითად, თორმეტის წლისას არც კი მენახა არც ვარცხლი, არც ღვინის ჭურჭელი იმ საცოდავ ქოხში, სადაც ჩემი მშობლები სცხოვრობდნენ მარკიზ აბრენის წყალობით. თხუთმეტის წლისამ პირველად ვიგემე წვენი აყროლებულის ღორის ქონით. ჩვენ გვქონდა პაწაწა ნაჭერი უხეირო მიწისა, რომელსაც მარკიზი გვაძლევდა და სამაგიეროდ თავის მამულში ღორის საკვებად რკოს გვაგროვებინებდა. იმ ნაბოძებ მიწაში შეგვეძლო დაგვეთესნა მხოლოდ მეხუდო, ლობიო და ცერცვი. აი, ამით ვიკვებებოდით, ნახევარზედ მშიერნი, ჩვენ სამნი: მამაჩემი, დედაჩემი და მე. ისე ვცხოვრობდით, რომ სხვა და სხვა მწერებისაგან მოსვენება არა გვქონდა. მხოლოდ წელიწადში ერთხელ ჩემი მშობლები წავიდოდნენ ხოლმე მახლობელ სოფელში და იქ აცხობდნენ პურს ცერცვისა, რკოსი და ერთი მუჭა შავის ფქვილისაგან. ეს პური ისე ხმებოდა, რომ ცულით სამტვრევი ხდებოდა და ბოლოს ცულიც კი ჩლუნგდებოდა.

თეთრი პურის გემო მხოლოდ მაშინ გავიგე, როცა ერთს მშვენიერს დღეს სასახლის ეზოსკენ გავიარე. მარკიზის ქალმა ადელინამ, ჩემის ხნისამ რომ დამინახა, მოგვიახლოვდა, ხელში თეთრი პური ეჭირა და მეც მომიტეხა. ადელინას დედამ დაინახა ეს და დატუქსა ბავშვი.

— ადელინა, ადელინა, რად აძლევ პურს მაგ ქურდ-ბაცაცს, მიეჩვევა და როდისმე ხელიდამ გამოგგლეჯავს! დაიკარგეშე გლახავ, თორემ ეხლავ ძაღლებს დაგასევ!

საჩქაროდ გამოვიქეცი, პური კი მაგრა მეჭირა და ძალიანაც მეგემრიელა, როცა ვიღირსე შეჭმას.



ასოთ-ამწყობი სავედიევი, სახელმწიფო სათათბიროს წევრი.

მეორედ კიდევ ძალზე მშიერი მივდიოდი მარკიზის ბაკისკენ. იქ შევამჩნიე კომბოსტოს მურკი, გავიქეცი ასაღებად. ამ დროს დამეწია დედა-ღორი თავის გოჭებით, მე უფრო მოვუმატე ნაბიჯს, რომ ღორს არ მიესწრო, მაგრამ საქონლის მომვლელი, მეტად ბოროტი კაცი, გადამეღობა გზაზე და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჯოხი დამარტყა, მივუტოვე ღორს მურკი და მოვჰკურცხლე შინისკენ. სარკმლიდან მომესმა მარკიზის ხმა:

— ეგრე უნდა მაგ საზიზღარს! ბატონის ღორისთვის უნდა წაერთმია საჭმელი? ოჰ, რა გარყვნილები არიან ეს გლეხები! ცოცხლებს შეგვჭამენ, რომ დავნებდეთ.

ეს ორი შემთხვევა კარგად დამახსოვდა. გული ბოღმით ამევსო. ამის გამო გულ-გრილად ვერ ვუყურებდი, როცა მარკიზი ცოლით და ვაჟით, რომელიც მეფის ჯარში ემსახურებოდა, ჩვენსკენ გამოივლიდა ხოლმე. ამ დროს ჩემი მოხუცი მამა და კეთილი დედა კარში ეგებებოდნენ, დაიჩოქებდნენ და სალამს აძლევდნენ. მრცხვენოდა და ოდნავ-ღა ვიკავებდი გულისწყრომას.

— რას მიიმალები ხოლმე,— მეტყოდი მამა,— როცა ისინი გაივლიდნენ:— მეორედ ძალით მოგახრევინებ მუხლს ჩვენ კეთილ ბატონების წინაშე...

მამიჩემის გულუბრყვილობა უფრო მეტად მიხუთავდა სულს.

მარკიზ აბრენის ოჯახში სიამოვნებით შევხვდებოდი ხოლმე მხოლოდ ადელინას, რომელმაც პური მომცა; იმას სიხარულით ვუკრავდი თავს და პატივსაც ვსცემდი. მეტად კეთილი და პატივსაცემი, მეტად კეთილი და ნაზი თვალები ჰქონდა როცა-კი დამინახავდა, ყოველთვის გამიღიმებდა ხოლმე.

ერთს საღამოს, დღესასწაულს დღეს, ცერცვით სავსე ქვაბის გარშემო ვისხედით. უცბად მამაჩემმა გამოგვიცხადა:

— ხვალ უნდა რკოს ასაკრეფად წავიდეთ ნესკეში. დროა შევემზადოთ ზამთრისთვის. ამბობენ, წელს გაჭირვებული ზამთარი იქნებაო. არ ვიცი, რა ვიფიქრო, მაგრამ უცნაური ამბები კი ხდება: ავინიონში ხალხი მხეცებივით ჟლეტენ ერთმანეთს, პარიზში-კი რევოლიუციაა; მარკიზიც სახლობით იქ მიდის, მეფე უნდა დაიფაროს განსაცდელისაგან.

პირველად გავიგე მაშინ, რომ საფრანგეთში მეფე იყო. მაშინვე თავში აზრმა გამიარა, რომ თუ მარკიზი მეფის საშველად მიდის, კარგი იქნება წინააღმდეგ წასვლა.

მამიჩემის ნათქვამმა გამაოცა, მაგრამ მერე სულ გადამავიწყდა, მით უფრო, რომ მეორე დღეს ჩვენ რკოს ასაკრეფად წავედით.

მეორე დღეს საძაგელი ამინდი დადგა: დილით ადრე ავდექით და სიბნელეში გავუდექით გათოშილ გზას. ცივი ქარი ჰქროდა და სახეს ნემსებივით სჩხვლეტავდა. ის იყო თენდებოდა, ნესკეს რომ მივედით. აქ მრავალი და დიდრონი მუხა იდგა.

მეტის-მეტად ძნელი იყო გათოშილის ხელებით გალიპულ რკოს კრეფა. საწყალი მამაჩემი მოუხეშავ პერანგში, შალის ჯუბით, მოკლე შარვლით, დაფლეთილ წინდებში და ხის ფეხსაცმელში მწარედ იკრუნჩხებოდა ქარის ყოველ დაბერვაზე; მეც, რაც შემეძლო, მხრებზე მოგდებულ ბატკნის ტყავში ვეხვეოდი.

ხმა გაკმენდილი ვმუშაობდით, როდესაც მეორე მხრიდან შემომესმა ბარკიზის ძაღლების ყეფა. ერთის წუთის შემდეგ გამოჩნდა კურდღელი, თან ძაღლები მოსდევდნენ, კურდღელი გამალებული ჩვენსკენ მორბოდა. ის იყო, ქვა უნდა მესროლა კურდღლისთვის, რომ იმ ეშმაკმა იგრძნო ხიფათი,



ვეზუვიდან ამოხეთქილი ლავა (ლამი), რომელმაც წალეკა სოფლები და დაანგრია ქალაქის სახლები.

მეორე მხარეს შეუხვია და ტყეში შევიდა, ძაღლები ყეფით თან შეჰყვნენ.

მამა ჩემამმა ვერა გაიგო-რა: რკოს ჰკრეფდა. უცბად მაღლობზე მარკიზის შვილი გამოჩნდა, სწრაფად ჩამორბოდა ძირს, ერთს ხელში თოფი ეჭირა, მეორეში მათრახი. მამაჩემმა რომ დაინახა, ჩვეულებრივ, დაიჩოქა და სალამი უნდა მიეცა მაგრამ უწყალო რობერტმა, ხმა ამოუღებლივ ისე მაგრა დაარტყა მათრახი სახეში, რომ მამა წაიქცა..

ეს რომ დავინახე, საჩქაროდ გავიქეც და თითქმის ბობღვით ავედი მაღლა, თან მესმოდა მათრახის ტკაცა-ტკუცი მამიჩემის ტანზე. რობერტი ძალზე ღრიალებდა:

— აი, შე ბილწო! ნადირობა წამიხდინე, კურდღელი გამიქციე! — თან უწყალოდ სცემდა საცოდავს.

ესეც არ იკმარეს: რობერტს მოეშველა ტყის მცველი, ერთი ახმახი გერმანელი. სახე უცნაური ჰქონდა. ამ საზიზღარს ჩვენ ყველანი სურტოს ვეძახდით. ესეც მივარდა მამაჩემს და დაუწყო ცემა, მე ამ დროს მთის წვერზედ ვიდექი და რომ დავინახე ეს საშინელი სანახავი, ველარ მოვითმინე, ავიღე დიდი ქვა და, რაც ძალი და ღონე მქონდა, ვესროლე, ქვა სურტოს თავს ასცდა და რობერტს მოხვდა ფეხში.

— უჰ, უჰ,—შეჰყვირა რომერმტა, მოიხედა და დამინახა.

აიღო თოფი, მოიმარჯვა ჩემსკენ და ორჯელ მესროლა, ტყვიები ხეებს მოხვდა, მე კი შორს ტყეში მოვასწარ დამალვა.

თუმცა მაშინ თითქმის ბავშვი ვიყავი (თოთხმეტი წლისაც არ ვიყავი), მაგრამ მაინც მესმოდა, რომ განსაცდელი მელოდა, თუ თვალნათლივ დავბრუნდებოდი შინ და ამიტომ დაღამებამდე ტყეში დავყავი.

რა გრძლად მეჩვენა ეს დღე! სიმშილის მოსაკლავად ერთი ნაჭერი პური მქონდა, ისეთი გამხმარი, რომ ქვით ვამტვრევდი პატარ-პატარა ლუკმებად და ცრემლით ვალბობდი.

როცა დაბინდდა, სიფრთხილით მიველ იმ ადგილას, სადაც დილით საცოდავ მამაჩემსა სცემეს, მეშინოდა, რომ იქ მამაჩემი ან მკვდარი, ან უგონოდ, არ დამხვედროდა, როგორც იმ ბოროტებმა მიატოვეს, მაგრამ იგი იქ არ დამიხვდა, ამან ცოტა დამამშვიდა: მაშასადამე, ვიფიქრე, ის საცოდავი ან ხელით წაუღიათ, ან თითონ მითრეულა სახლამდის. რა რიგად მინდოდა, იქ წასვლა, მაგრამ შემეშინდა, სურტოს არ ეთვალთვალებინა ჩემთვის ჩვენ ქოხთან. ეს ამ შიშის გამო იქამდის ვირბინე, სანამ გადაველი ამბერონის სამფლობელოს საზღვარს. აქ შიში აღარაფრისა მქონდა, მხოლოდ შორს ვიყავი ჩემს სახლზე, საცოდავ დედაჩემზე, რომელიც, რასაკვირელია, სწუხდა ჩემის უამბობით. დედაჩემზე ფიქრმა შიში დამავიწყა, გადავწყვიტე ღამის სიბნელით მესარგებლნა და მენახა დედა უკანასკნელად მაინც. ამის გამო დავბრუნდი, გავიარე მინდორ-მინდორ და ეზოებზე ჩვენ ქოხამდე, მივუახლოვდი ხვრელს, რომელიც სარკმლობას გვიწევდა, შევყავი თავი და ჩუმად დავუძახე:

— დედა, დედა!

ხმა არავინ გამცა.

სისხლი თავში ამივარდა.. ვიფიქრე, დედ-მამა ხომ არ დამიხოცეს-მეთქი. გარშემოუვარე ჩვენ ქოხს. კარი მთლად ღია იყო, სულ დამავიწყდა გერმანული და დავიწყე მაღლა ძახილი:

დედა, მამა, სადა ხართ? მოველ, თქვენი პასკალი.

დავეცი დედა-მიწაზე და შევქენი ღრიალი და ქვითინი. ბოლოს დავიღალე ყვირილით და, რაკი არ შემეძლო შურისძიება, გადავწყვიტე თავი მომეკლა. იქვე ახლო დიდი საგუბარი იყო, რომელშიაც ჩემსავით სასოწარკვეთილი, ლამაზი ანეტა დაირჩო. იქით გავიქეც და, შორიდან რომ დავინახე ბრწყინვალე ზედაპირი წყლისა, ვთქვი: აი სამოთხე სად არის მეთქი! დავხუჭე თვალები, გავიქეც და გადავხტი წყალში.

მაგრამ,—აქ შედგა მოხუცი პასკალი, —ახლა გვიან არის, მეორედ დავაბოლავებ ჩემს ამბავს.

ელენე ანტონოვსკაისა.

(შემდეგი იქნება)

დ. თამამშევის განცხადების შედეგი ქალაქის გამგეობაში.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ნ. დიასამიძე.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა—ტელეფონი № 37.